თელავის გაზეთი

№5 2025 წ.

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისს, თელავში, ცენტრალურ მოედანზე, სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებითა და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

ეს დღე გამორჩეული იყო მრავალფეროვანი ღონისძიებებით: მოეწყო საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენა; სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციართა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა;

დღესასწაულზე მოსულ მოქალაქეებს დახვდათ სხვადასხვა თემატური საგამოფენო სივრცეები – „1918 წლის 26 მაისი“; „კახეთის რეგიონის ღირსშესანიშნაობები“; „კახეთის რეგიონის საზოგადო მოღვაწეები“; „საქართველო ღვინის სამშობლო – უძველესი სამუზეუმო ექსპონატების ასლების გამოფენა“; „კახეთის რეგიონის ვაზის ჯიშები“.

მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საბავშვო გასართობი ღონისძიებები – ზღაპრის გმირები, თამაშები, ანიმატორები, ბატუტის სივრცე; აგრეთვე, გაიმართა შემეცნებითი აქტივობა ბავშვებისათვის – „ტყის ბავშვები“ – „მცენარეების მოვლა, გადარგვა და დარგვა“; კოსტიუმირებული მსახიობების საზეიმო მსვლელობები „ჟოზეს სასცენო სპექტაკლი“

ჩატარდა კახური ტრადიციული კერძების დამზადების მასტერკლასები და ადგილზე დაგემოვნება;

დღის ბოლოს, თელავის ფირუზ მახათელაშვილის სახელობის ეთნოგრაფიულ ანსამბლ „ჩაკრულოს“ შესრულებით წარმოდგენილი იყო მუსიკალური კომპოზიცია – ერთად ვუმღეროთ ჰიმნი თავისუფლებას!

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმო კონცერტით დასრულდა: თელაველებს და სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ „შვიდკაცასა“ და ლიზა ბაგრატიონისთვის, ჯგუფისთვის – „მიქსტურა“.

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე – თელავში

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, ოჯახთან, სასულიერო პირებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად თელავში, ოჯახის სიწმინდის დღეს გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებით, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების და მოსახლეობის ჩართულობით, 17 მაისი – ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე მასშტაბურად აღინიშნა.

თელავის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა მეუფე დავითმა სასულიერო პირებთან ერთად პარაკლისი აღავლინა, რის შემდეგაც მოეწყო მსვლელობა ერეკლე მეფის სახელობის მოედნის მიმართულებით.

შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართეს – კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, სასულიერო პირებმა, პარლამენტის წევრებმა – დავით მათიკაშვილმა გურამ მაჭარაშვილმა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, ილია II-ის ინიციატივით 2014 წელს დაწესდა.

18 მაისს ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა

თელავის ისტორიული მუზეუმისა და მუდმივ ექიუკლუ II-ის სასახლის უბანში, თელავის მუნიციპალიტეტის სტადიონ „ხაროულის“, ანსამბლ „მარჯვეს“, „კაკუასიანის“, „ერინნერლოსა“ და „ჩაკვს“ მანერეულობით კასტიუმირებული მუდოულობა მაუწყა.

ინფორმაცია

მინისტრი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებს შეხვდა

საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრმა კახაბერ გულედანმა, კახეთის რეგიონში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში შეხვედრა გამართა.

მინისტრმა კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მიხედვით, ხელმძღვანელი პირებისგან განხორციელებული რეფორმებისა და პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები და არსებული გამოწვევები.

შეხვედრას რეგიონული განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე ლევან ზაუტაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოების თავმჯდომარეები და შესაბამისი ზედამხედველობის კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფაშიზმზე გამარჯვების 80 წელი

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებისა და ფაშიზმის დამარცხებიდან 80 წელი შესრულდა. ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად და ომში დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა თელავის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ანდრიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილმა თელავში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და გაიხსენეს მათი გმირობის ისტორია.

„უახლეს ისტორიაში მეორე მსოფლიო ომი შევიდა, როგორც გლობალური, მასშტაბური ომი, რომელსაც მილიონობით ადამიანის, მათ შორის ქართველების სიცოცხლე შეეწირა. კახეთის რეგიონის მასშტაბით, დღეის მონაცემებით, მეორე მსოფლიო ომის 3 ვეტერანი გვყავს. ვუსურვებ მათ მხნეობას და ჯანმრთელობას“, – განაცხადა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს ფულადი დახმარება გადაეცათ.

სამედიცინო აქცია – მოსახლეობისთვის

თელავში, მოსახლეობისთვის სამედიცინო აქცია ჩატარდა. უფასო სამედიცინო, დიაგნოსტიკური და ინსტრუმენტული კვლევების შესაძლებლობა ჰქონდათ – ომის ვეტერანებს, სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგებს, სოციალურად დაუცველ პირებს.

კვლევები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, ქართულ-ამერიკული ჰოსპიტალის, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის, ჰოლანდიური ჰოსპიტალის, ბოკერიას სახელობის ევექსის კლინიკისა და სამედიცინო ცენტრ „ვივამედის“ აკადემიურმა პერსონალმა ჩაატარა.

უფასო სამედიცინო აქცია საქართველოს პარლამენტის, თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის მხარდაჭერითა და ორგანიზაცია „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავლის“ ორგანიზებით, „საქართველოს კლინიკების“ თელავის რეფერალურ ჰოსპიტალში გაიმართა.

თელავის რეფერალურ ჰოსპიტალში მიმდინარე აქციას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, პარლამენტის წევრები – ირაკლი ქადაგიშვილი, ირმა ზავრადაშვილი, რომა ბერაძე და თელავის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან ანდრიაშვილი დაესწრნენ.

დავით სონღულაშვილი – თელავის მუნიციპალიტეტში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში იმყოფებოდა, სადაც საწარმოში „ცივის ყველი“ სამუშაო პროცესს გაეცნო.

ყველის საწარმო სახელმწიფო პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ბენეფიციარია, აგროსესხი 500,000 ლარს შეადგენს. საწარმოს, რომელიც დღიურად 1 ტონა რძეს გადაამუშავებს, სხვადასხვა სახეობის ყველს ამზადებს, პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზეც ახდენს და ექსპორტზე ამერიკის შეერთებულ შტატებში გააქვს. საწარმოში 10 ადამიანია დასაქმებული.

მინისტრმა ქართული აგროწარმოების ზრდის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მხარდაჭერის მნიშვნელობაზე და მიღებულ შედეგებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქართული ხარისხიანი პროდუქცია აქტიურად იმკვიდრებს ადგილს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, რაც მთავარი მიზნის – ეკონომიკის გაძლიერების და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის საფუძველია.

დავით სონღულაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაერთი პროექტით სახელმწიფო ქართული ხარისხიანი, უვნებელი პროდუქციის წარმოების მხარდამჭერია.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს“ სოფლის განვითარების სააგენტო 10 წელიწადზე მეტია ახორციელებს. პროექტის ძირითად ამოცანებს ფერმერების და აგრობიზნესში ჩართული პირების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება წარმოადგენს.

მინისტრთან ერთად, საწარმოში, კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი გიორგი დარჩია იმყოფებოდნენ.

სტუდენტთა ჯგუფის – „მწვანე ბილიკი“ დამსახურებული ჯილდო

CENN-ის ინიციატივის „მწვანე კავკასია-მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი ენერგიის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, 7 მაისს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მწვანე ეკონომიკის სკოლა – 2025-ის ფინალისტების მიერ მომზადებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა.

„– სულ წარმოდგენილი იყო 3 პროექტი, რომელიც ეხებოდა კისისხევის წყალშემკრები აუზის ტერიტორიაზე კისისხევი-შალაური და წინანდალი-ქვემო ხოდაშენის ბილიკებზე ეკო-ტურიზმის შესაძლებლობების გაზრდის საკითხებს. კონკურსში მონაწილეობა მიიღო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 15-მა სტუდენტმა, რომლებიც სამ ჯგუფად იყვნენ წარმოდგენილნი და ხუთი თვის განმავლობაში ახორციელებდნენ კონკურსის ფარგლებში გაწერილ სამუშაოებს. სამუშაოები კი ითვალისწინებდა სამიზნე არეალში, დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კონსულტაციების გზით, ამ არეალის ეკო-ტურისტული კლასტერული განვითარების გეგმის მომზადებას.

კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსის გამარჯვებული გახდა ჯგუფი „მწვანე ბილიკი“, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ნელი ცქიტიშვილი, გუნდის წევრები არიან: ელენე ზაალიშვილი, მარიამ მარკოზაშვილი, მარიამ პაპუნაშვილი და ლევან მოსიაშვილი. კონკურსში მონაწილე სტუდენტებს და მათ ხელმძღვანელებს გადაეცათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები, ხოლო გამარჯვებულმა გუნდმა მიიღო ფულადი ჯილდო.“ – აღნიშნავს პროექტის ხელმძღვანელი კახა სუხიტაშვილი.

„– ცოტა არ იყოს, ვღელავდით პრეზენტაციაზე, რადგან გვსურდა, რომ ჩვენი ამდენი ხნის შრომის შედეგი სრულად წარმოგვეჩინა ჟიურის წინაშე. ვფიქრობთ, ჩვენ ეს შევძელით. გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ჯგუფის ხელმძღვანელს – ქალბატონ ნელი ცქიტიშვილს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გვაძლევდა მოტივაციას და რჩევებს. მადლობა ბატონ კახა სუხიტაშვილს და დონორ ორგანიზაციებს ამ შესაძლებლობისთვის“ – განაცხადეს გამარჯვებული პროექტის წარმდგენმა სტუდენტებმა მარიამ მარკოზაშვილმა და ელენე ზაალიშვილმა.

ნელი ცქიტიშვილი: ჩემს ჯგუფში გაერთიანებულნი იყვნენ ტურიზმის სპეციალობისა და ტურიზმის minor-ის სტუდენტები. მათ მართლაც დიდი სამუშაო გასწიეს და შედეგიც გამოიღო ამ თავდადებამ. ბედნიერი და ამაყი ვარ მათი წარმატებით. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს.

პროექტის „მწვანე კავკასია – მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი ენერგიის ხელშეწყობა საქართველოში“ მხარდამჭერია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა (ADC).

ინტერვიუ

კოლეჯში მიმდინარე პროფესიულ პროგრამებზე შრომით ბაზარზე დიდი მოთხოვნაა

ინტერვიუ კოლეჯ „ფანასკერტელის“ თელავის ფილიალის მენეჯერთან – ჯეინაზ შარმაზანაშვილთან

– ცოტა ხნის წინ დასრულდა პროფესიულ სწავლებაზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია. თქვენ რომელი სპეციალობები შესთავაზეთ მომავალ პროფესიულ სტუდენტებს?

– დიახ, დასრულდა საგაზაფხულო რეგისტრაცია პროფესიულ პროგრამებზე . საექთნო განათლება, საფინანსო სერვისები, ფარმაცია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგისტრირებულთა რაოდენობა, ყველა პროფესიულ პროგრამაზე, მისაღებ რაოდენობაზე 3 ჯერ მეტია.

ვინც ვერ მოასწრო რეგისტრაციის გავლა, ან ვერ ჩაირიცხება კონკურსის გამო, იმედს ნუ დაკარგავენ, გვაქვს საშემოდგომო ჩარიცხვაც, რომლის რეგისტრაცია იწყება 2 სექტემბრიდან – 22 სექტემბრამდე, შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე: აღმზრდელი, საფინანსო სერვისები და საექთნო განათლება.

– სწავლის მსურველთა ასაკობრივი შეზღუდვა თუ არის გათვალისწინებული?

– ასაკობრივი შეზღუდვა არ გვაქვს

– როგორ მიდის სასწავლო პროცესი, თუ გაიარეთ ავტორიზაცია, ან რომელიმე ახალმა პროგრამამ თუ მიიღო აკრედიტაცია?

– სულ ახლახან, მაისში, გავიარეთ ავტორიზაცია, ხარვეზის გარეშე. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო კოლეჯის მასწავლებლებს, ადმინისტრაციულ პერსონალს, მაღალი კვალიფიკაციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის. სწორედ ამის შედეგია 6 წლიანი უპირობო ავტორიზაცია, რაც მართლაც საამაყოა.

– როგორია სასწავლო-პრაქტიკული ბაზა, რა დახვდება თქვენთან მოსულ სტუდენტს?

– თეორიული სწავლება მიმდინარეობს თანამედროვედ აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებში, ხოლო პრაქტიკის ბაზები გვაქვს რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში – არსებული პროფესიული პროგრამების შესაბამისად. თელავის მაგალითზე რომ ავიღოთ: ექთნები პრაქტიკას გადიან რაიონულ საავადმყოფოში, ყამბარაშვილის კლინიკაში, რეფერალურ საავადმყოფოში; ფარმაციის პროგრამის სტუდენტები – აფთიაქებში – „გეფა“, „იმპექსი“ და „პსპ“; აღმზრდელები – თელავის მე-6 და მე-7 ბაგა ბაღებში.

– რამდენად საინტერესოა თქვენს კოლეჯზე არჩევანის გაკეთება, გარდა სწავლისა, რას სთავაზობთ სტუდენტებს?

– სტუდენტებს, გარდა სწავლის პროცესისა და ბოლოს შედეგების დადასტურებისა, კოლეჯში ელოდებათ აქტიური სტუდენტური ცხოვრება, რომელიც კულისხმობს უამრავ აქტივობას – ექსკურსიებს, კონფერენციებს, შეხვედრებს, სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნის ღონისძიებებს...

– რამდენად არის მოთხოვნა იმ პროფესიებზე, რომელზეც მიღება გამოაცხადეთ? თუ გაქვთ სტატისტიკა, როგორია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი?

– კოლეჯში მიმდინარე პროფესიული პროგრამები არის მოთხოვნადი შრომით ბაზარზე, რაც ზრდის კოლეჯში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობას. დადებითი დინამიკა გვაქვს დასაქმებულ სტუდენტთა სტატისტიკაში – ჩვენ

არ ვწყვეტთ კავშირს კურსდამთავრებულებთან, სწავლის დასრულების შემდგომაც ვაცნობებთ-ხოლმე არსებული ვაკანსიების შესახებ და ეს ეხმარება მათ, რომ სპეციალობით იმუშაონ. დასაქმებულია ექთანთა 40-45%; ფარმაცევტების – 60-65%, ხოლო აღმზრდელების 80 პროცენტი – კახეთის მასშტაბით.

– წარმატებებს გისურვებთ, ნამდვილად საარგებლო და საჭირო საქმეს ემსახურებით.

– მადლობა „თელავის გაზეთს“ განათლების სფეროთი დაინტერესებისა და გაშუქებისთვის.

რეგიონული სასკოლო კონკურსი

კახეთის მასშტაბით უკვე მეორედ ჩატარებული სასკოლო კონკურსი – “TechSparks” გამორჩეული მოვლენაა რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში. პროექტი თავისი ფორმატით უნიკალურია – მასში სასკოლო გუნდები წარმოდგენილი იყვნენ ერთი მასწავლებლისა და 3-5 მოსწავლის სახით, რაც ხაზს უსვამს პედაგოგებისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობას.

კონკურსმა საკმაოდ მასშტაბური ხასიათი მიიღო: მან მოიცვა კახეთის რვავე მუნიციპალიტეტი, მონაწილეობა მიიღო 32 სკოლის 180-მა მონაწილემ, მათ შორის 32-მა პედაგოგმა. თელავის ტექნოპარკის მენეჯერის, ანა ბახსოალიანის თქმით, ეს ციფრები ნათლად მეტყველებს პროექტის ფართო გამოხმაურებასა და მის მიმართ მაღალ დაინტერესებაზე.

„– მასწავლებლებს უდიდესი როლი აქვთ ბავშვების განვითარებასა და ცნობიერების ამაღლებაში. სწორედ ამიტომ, მათი აქტიური ჩართულობა ისეთ ინიციატივებში, სადაც ისინი უშუალოდ ეცნობიან ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს, უმნიშვნელოვანეს დატვირთვას ატარებს. ეს მათ საშუალებას აძლევს, გაიღრმავონ თანამედროვე ტენდენციებში ცოდნა, რომელსაც საკლასო ოთახებში გააზიარებენ“ – აღნიშნავს ანა ბახსოლიანი.

კახეთის რეგიონული ტექნოპარკების ორგანიზებით, კონკურსი, კახეთის 8 მუნიციპალიტეტის ჩართულობით, ახმეტის, თელავისა და გურჯაანის ტექნოპარკების ბაზაზე მიმდინარეობდა. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, სამი კვირის განმავლობაში, ერთობლივად ინტენსიურად იმუშავეს. ამ პერიოდში მათ არა მხოლოდ შეისწავლეს ხელოვნური ინტელექტის და ელექტრო ინჟინერიის საფუძვლები, არამედ გაეცნენ ინოვაციური მეწარმეობის კონცეფციასაც. საბოლოოდ, გუნდებმა დააიდენტიფიცირეს განათლების სფეროში არსებული პრობლემები, გამოწვევები და სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ იმუშავეს ინოვაციურ, ტექნოლოგიურ პროექტებზე.

კონკურსის კულმინაცია იყო „დემო დღე“, რომელიც 15 მაისს გაიმართა წინანდლის მამულებში, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი მზა პროექტები. თითოეული გუნდი ცდილობდა, მაქსიმალურად წარმოეჩინა თავისი ნამუშევარი, ეპასუხა ჟიურის კითხვებისთვის და დამაჯერებლად ესაუბრა პროექტის პოტენციალზე. „დემო დღის“ ბოლოს გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებმაც მიიღეს სიმბოლური პრიზები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. პროექტს მხარს უჭერდა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და 8 მუნიციპალიტეტის მერია.

ღონისძიებას თელავის მუნიციპალიტეტის მერ ლევან ანდრიაშვილთან ერთად, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე პლატონ კალმახელიძე, კახეთის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თორნიკე ჯობავა ესწრებოდნენ.

კონკურსზე წარმოდგენილი თელავის საჯარო სკოლების გუნდები თელავის მუნიციპალიტეტის მერმა დააჯილდოვა. მერია მათთვის სასწავლო-შემეცნებით ექსკურსიებს უზრუნველყოფს. გამარჯვებული სკოლის გუნდს საჩუქრად პროგრამირებადი რობოტი გადაეცა.

წლის ინოვაციურ და ტექნოლოგიურ სკოლად დასახელდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოდნისკარის საჯარო სკოლა. გამარჯვებულ გუნდს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ საჩუქრად 3D პრინტერი გადასცა, ხოლო თითოეული მუნიციპალიტეტის რჩეულ გუნდებს – სიმბოლური პრიზები.

ანა ბახსოლიანი ხაზს უსვამს ამ და სხვა ინიციატივებში ტექნოპარკის როლს: „აღნიშნულ პროექტში ტექნოპარკის როლი უმნიშვნელოვანესია. ის არის არა მხოლოდ კონკურსის ინიციატორი, მასპინძელი, არამედ ინოვაციების

ცენტრი, რომელიც ქმნის საჭირო ინფრასტრუქტურას, უზრუნველყოფს მენტორობასა და ექსპერტულ მხარდაჭერას. ტექნოპარკი არის ადგილი, სადაც იდეები ცოცხლდება, სადაც ახალგაზრდები იღებენ შთაგონებას და სადაც ხდება ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. ტექნოპარკის რესურსები ეხმარება ადგილობრივებს – ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელს, თავიანთი იდეები რეალურ პროდუქტებად, სტარტაპებად აქციონ.“

მსგავსი ინიციატივების საჭიროება და დადებითი გავლენა თანამედროვე, სწრაფად განვითარებად სამყაროში უდავოა. ასეთი აქტივობები ქმნის ინოვაციურ ეკოსისტემას, სადაც იდეები ცოცხლდება და ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება, თავი იგრძნონ ცვლილებების ნაწილად.

წინ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი პროექტია, რომელთა შესახებ ინფორმაციასაც ტექნოპარკის მენეჯერი გვიზიარებს: „მთელი წლის განმავლობაში ტექნოპარკს დაგეგმილი აქვს მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი. აღსანიშნავია აგროტექნოლოგიების კვირეული, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას. სტუდენტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება სტუდენტური ბანაკი, სადაც ახალგაზრდები გაიღრმავებენ ცოდნას და განვითარებენ პრაქტიკულ უნარებს სხვადასხვა ტექნოლოგიურ მიმართულებაში. გარდა ამისა, ინოვაციური იდეებისა და სტარტაპების ხელშეწყობად ტექნოპარკი ატარებს 25 000 ლარიან საგრანტო კონკურსს.

სასკოლო კონკურსს, ისევე როგორც სხვა მსგავსი ინიციატივებს, უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო და ტექნოლოგიურ პროგრესში. ამ პროცესში ვითარდება ახალგაზრდების ის უნარები, რომლებიც აუცილებელია 21-ე საუკუნის გამოწვევებთან გასამკლავებლად.

მარიამ მარკოზაშვილი

შტრიხები პორტრეტისთვის

„მუსიკალური თერაპიის მეთოდების წარმატებული დანერგვა საქართველოში მნიშვნელოვან დროს და ძალისხმევას მოითხოვს“

რუბრიკის „შტრიხები პორტრეტისთვის“ სტუმარია მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი – მუსიკათერაპიის მაგისტრი, ფსიქოთერაპევტი, ონკოფსიქოლოგი ქართულ-გერმანული თერაპიული ცენტრი „ლეგატოს“ დამფუძნებელი ქართულ-გერმანული მუსიკათერაპიის ცენტრი „ბეკარის“ დამფუძნებელი

განათლება

მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი დაიბადა გერმანიის ქალაქ პოტსდამში. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა, ხოლო მუსიკალური განათლება ნიჭიერთა ათწლედში მიიღო. ზაფხულობით დროს თელავში, ბებიასთან, პაპასთან და დეიდასთან ატარებდა – „ძალიან მიყვარდა თელავში ყოფნა, მასთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს“ – აღნიშნავს ის.

სკოლის შემდგომი განათლება საქართველოში მიიღო. თავდაპირველად მარინა მუსიკის თეორიის დარგში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სსიპ-თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, ასევე, თელავის მერიის კულტურისა და განათლების განყოფილებაში მუშაობდა. პროფესიული განათლების გაგრძელება გერმანიაში გადაწყვიტა – სპეციალურად ისწავლა გერმანული ენა, წარმატებით ჩააბარა ვიტენ-ჰერდეკეს უნივერსიტეტში, სადაც მიიღო მაგისტრის ხარისხი და გახდა ნორდოფ-რობინსის მუსიკალური თერაპევტი.

ნორდოფ-რობინსის მუსიკათერაპია არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, ელიტარული მიდგომა, რომლის შესწავლა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია შესაძლებელი (ინგლისში, აშშ, გერმანიაში, იაპონიაში). მისივე თქმით, რთული კონკურსის მიუხედავად, შეძლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა და კურსის წარმატებით დასრულება: „42 კანდიდატიდან მხოლოდ სამი მოვხვდით პროგრამაზე და ორმა დავამთავრეთ – ურთულესი მიმართულებაა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი.“

პრაქტიკა და მიღებული გამოცდილება

შემდეგ კი დაიწყო ხანგრძლივი პრაქტიკული გზა გერმანიაში...

უმუშავია როგორც სპეც-სკოლებში, ისე სახელმწიფო სარეაბილიტაციო და ფსიქიატრიულ კლინიკაში. 18 წლიანი გამოცდილების ფარგლებში, იღებდა ფართო სპექტრის პაციენტებს სხვადასხვა მდგომარეობით, მათ შორის: პაციენტები სიმსივნური დაავადებებით, ქრონიკული ტკივილებით (შერეული ჯგუფები), სპეციალური საჭიროებებით, მძიმე შეზღდული შესაძლებლობებით, დეპრესიული/შფოთვითი აშლილობებით, ცერებრალური პრობლემებით, ინსულტით / თავის ტვინის დაზიანებით, პაციენტები დემენციალური პრობლემებით და ა.შ: „ თვრამეტი წლის განმავლობაში ვმუშაობდი გერმანიაში, სადაც ფართო სპექტრის პაციენტებთან მქონდა ურთიერთობა – არამხოლოდ ბავშვებთან, არამედ ზრდასრულებთანაც. ეს ჩემთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია, როგორც განათლების, ასევე მრავალმხრივი გამოცდილების ჭრილში.“

მარინა რაიდტ-ალთუნაშვილმა გერმანიაში წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა და გახდა აპრობირებული ფსიქოთერაპევტი, ასევე მან ბონის უნივერსიტეტში გაიარა ონკოფსიქოლოგიის სრული კურსი და გახდა ლიცენზირებული ონკოფსიქოლოგი. 8 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ვილ-ჰელმსდორფში მარიაბერგის სპეც. მასწავლებლების უმაღლეს სასწავლებელში.

საქართველოში დაბრუნება

მიუხედავად იმისა რომ, როგორც სპეციალისტი, გერმანიაში მოღვაწეობდა, იგი ხშირად ჩამოდიოდა სამშობლოში და დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში ნორდოფ-რობინსის მუსიკათერაპიის დამკვიდრებისა. 2016 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა პირველი საჯარო შეხვედრა, შემდგომ დაამყარა ურთიერთობები სხვადასხვა დაწესებულებებთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი, საქველმოქმედო ფონდი „აი ია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). პანდემიის პერიოდში მშობლიურ ქვეყანაში დარჩენამ განაპირობა მისი მოღვაწეობის გააქტიურება ამ მიმართულებით. 2019 წელს დააარსა ქართულ-გერმანული თერაპიული ცენტრი „ლეგატო“ თელავში, ახმეტაში – 2025 წელს, ხოლო თბილისში – ქართულ-გერმანული მუსიკათერაპიის ცენტრი „ბეკარი“, რომელიც ფუნქციონირებს 2020 წლიდან. ამის გარდა, სპეციალისტმა არაერთი გასვლითი ტრენინგები/პრეზენტაციები გამართა სხვადასხვა რეგიონში მუსიკათერაპიის პოპულარიზაციისთვის, რათა საზოგადოებისთვის გაეცნო, რა სარგებელი აქვს და რა მიზანს ემსახურება ის.

რას ნიშნავს მუსიკათერაპია და როგორ მუშაობს ის

ნორდოფ-რობინსის თერაპია გულისხმობს ინტერაქციას თერაპევტსა და თერაპიის მიმღებს შორის. პროცესში აქტიური მონაწილეობა აქვს თავად პაციენტსაც, რომელიც უკრავს ისეთ მარტივ მუსიკალურ ინსტრუმენტზე, რომლის გამოყენება წინასწარი მომზადებისა და სპეციალური ნიჭის გარეშეა შესაძლებელი. პარალელურად, თერაპევტი, როგორც წესი, ფორტეპიანოზე უკრავს და მღერის. სწორედ ეს სპონტანურად შექმნილი მუსიკალური დიალოგი თერაპევტსა და პაციენტს შორის ქმნის თერაპიულ ეფექტს.

მუსიკალური თერაპიის მთავარი მიზანია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, პიროვნების ჰარმონიული განვითარება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. იგი წარმატებით გამოიყენება ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის, ფსიქიკური თუ სომატური პრობლემის დროს, როგორებიც არის: მეტყველების და განვითარების შეფერხება, აუტისტური სპექტრი, დაუნის სინდრომი, ემოციური რეგულაციის დარღვევა, ქცევითი და კოგნიტური პრობლემები, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, გაფანტული სკლეროზი, დემენცია, ქრონიკული ტკივილი და სხვა.

„მუსიკათერაპია ქმნის ჰუმანურ და მეგობრულ გარემოს, სადაც ბავშვი თავისუფლად გამოხატავს საკუთარ თავს და იღებს მხარდაჭერას მისთვის მისაღები ფორმით. მუსიკალურ თერაპიას არ აქვს დოგმატური ხასიათი, იგი სახალისო, სასიამოვნო და მამოტივირებელია, რადგანაც აქ არ კეთდება აქცენტი იმაზე, რაც თერაპიის მიმღებს არ გამოსდის – პირიქით, ხაზგასმით გამოიკვეთება მისი ძლიერი მხარეები და შემდგომ იწყება კონკრეტულ სირთულეებზე მუშაობა. სხვადასხვა, ინსტრუმენტები გვაქვს, თან უკრავს ბავშვი, თან სირთულეებზე მუშაობა ხდება. პაციენტი ბედნიერია, ამ პროცესით განიცდის ტკბობას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი თერაპიის.“ – აღნიშნავს სპეციალისტი.

ქალბატონი მარინას თქმით, მუსიკათერაპიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარგებელი სოციალური და ემოციური უნარების გაძლიერებაა: „თერაპია, როგორც წესი, ინდივიდუალური სეანსებით იწყება, თუმცა მიზანი არის ის, რომ ბავშვმა შეძლოს ჯგუფში ჩართვა – დაჯდეს თანატოლებთან ერთად, ჯერ სხვას მოუსმინოს, შემდეგ თავად დაუკრას და ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობებში“.

დიაგნოსტიკის პროცესი

მუსიკათერაპიის დიაგნოსტიკა იწყება პაციენტისთვის სხვადასხვა ინსტრუმენტის შეთავაზებით, რათა თავად აირჩიოს მისთვის ყველაზე სასურველი. ამას საფუძვლად უდევს რწმენა, რომ თითოეულ ადამიანს აქვს შინაგანი ინტუიცია, რომელიც ეხმარება მისი საჭიროებების სწორად განსაზღვრაში. თერაპევტი აკვირდება არამარტო ინსტრუმენტის არჩევანს, არამედ დეტალებს – როგორ მოძრაობს პაციენტი, როგორი სახის გამომეტყველება აქვს, იცინის თუ არა, როგორ რეაგირებს მუსიკასა და გარემოზე.

„დიაგნოსტიკა ეფუძნება ჰოლისტურ მიდგომას, ადამიანი აღიქმება მთლიანად და არ ხდება მხოლოდ დეფიციტებზე კონცენტრირება, არამედ აქ ძირითადი ყურადღება მახვილდება რესურსებზე, ძლიერ მხარეებზე და იმ შესაძლებლობებზე, რაც პაციენტს უკვე გააჩნია“ – აღნიშნავს მუსიკათერაპევტი.

მეტყველების შეფერხება: რას უნდა მიაქციოს მშობელმა ყურადღება?

მუსიკათერაპევტი მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი აღნიშნავს, რომ მეტყველების შეფერხება ბავშვებში არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა სირთულეებთან ერთად ვლინდება, განსაკუთრებით კი **მსხვილი და ნატიფი მოტორიკის დარღვევებთან.**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომი, რასაც მშობლებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, ბავშვის მიერ **მარტივი მითითებების ვერშესრულებაა.** მაგალითად, თუ ბავშვი ვერ რეაგირებს ისეთ ელემენტარულ მოთხოვნებზე, როგორიცაა „დახურე კარი“, „დადე სათამაშო“ და სხვა, ეს უკვე სერიოზული სიგნალია. მუსიკათერაპევტის თქმით, სანამ ბავშვი ლაპარაკს დაიწყებს, მანამდე უნდა ჰქონდეს განვითარებული რეცეპტიული მეტყველება – უნდა ესმოდეს, რას ეუბნებიან, და ამ სიტყვის თუ ფრაზის სემანტიკას იაზრებდეს.

კიდევ ერთი, ხშირი მიზეზი მეტყველების შეფერხებისა, **არადამაკმაყოფილებლად განვითარებული სამეტყველო აპარატია.** ეს შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ ბავშვი ვერ უბერავს ჩასაბერ ინსტრუმენტებზე, ან საერთოდ ვერ ღეჭავს მყარ საკვებს. „ხშირად აღმოჩნდება, რომ ბავშვი მხოლოდ დაბლენდერებულ სუპებსა და ფაფებს ჭამს. ასეთ დროს მშობლებს ვაძლევთ რეკომენდაციებს – როგორ იკვებოს ბავშვმა ისე, რომ განვითარდეს პირის ღრუში არსებული კუნთები“ – განმარტავს მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი.

მეტყველების შეფერხებას შესაძლოა თან ახლდეს შემდეგი სახის სირთულეები, როცა ბავშვს აქვს: **კორდინაციის დარღვევები, რთულად განვითარებული ემოციური სფერო, უცხო სივრცეში ადაპტაციის პრობლემა, სხეულის არასრულფასოვნად აღქმა, დაბალი აუდიალური ზღრუბლი და სხვა.**

პროფესიული სიყვარული

მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი, უკვე 23 წელია, რაც მუსიკათერაპიით არის დაკავებული, (თუ ჩავთვლით სწავლის წლებს), თუმცა, სრულფასოვანი მუსიკათერაპევტი 2005 წლიდან გახდა. მისი პროფესია თერაპევტს ყველაზე დიდ ბედნიერებას ანიჭებს: „ჩემი პროფესია ცხოვრების მთავარი მისიაა, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება და ღმერთის მადლი, რომ აღმოვაჩინე ის, რაც მიყვარს, შემდგომ მივიღე კარგი განათლება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს მენტორებს – მსოფლიო მასშტაბის მეცნიერებს, დევიდ ოლდრიჯს, ლუტც ნოიგებაუერს და სხვ.“

2014 წელს, სტუდენტობის პერიოდში, მარინა ორი თვის განმავლობაში ესწრებოდა ლექციებს მუსიკათერაპიის პიონერის – კლაივ რობინსის ხელმძღვანელობით. „ორი თვე პირადად კლაივ რობინსისგან ვიღებდი ლექციებს. ის იყო მართლაც გამორჩეული ადამიანი – ფაქიზი, ჰუმანური, უდიდესი პროფესიული გამოცდილებით. “-ამბობს მარინა. როგორც თავად იხსენებს, კლაივ რობინსმა მას უთხრა: „ეს ზუსტად ის არის, რაც უნდა აკეთო, მარინა. სავარაუდოდ, ამისთვის ხარ მოვლენილი.“ სწორედ ამ სიტყვებით უწოდა მან მარინას „ქართველი პიონერი“.

მუსიკათერაპევტი ხშირად ამბობს, რომ მისთვის ყველაზე დიდი პროფესიული აღიარება ის არის, როდესაც მშობელი სიხარულითა და მადლიერებით ამბობს – „მუსიკალურმა თერაპიამ უმნიშვნელოვანესი აგური დადო ბავშვის განვითარებაში“ – ასეთი სიტყვები მისთვის უდიდესი წარმატება და სიხარულია, რადგან თერაპიის ყოველ მიმღებს განსაკუთრებულად ძვირფასად მიიჩნევს.

სპეციალისტის თქმით, „თერაპიის დროს, თერაპიის მიმღები ხდება სამყაროს წამყვანი ცენტრი, მის გარშემო ტრიალებს ყველაფერი. ჩემს სტუდენტებსაც ყოველთვის ვეუბნები, რომ იმ კონკრეტულ მომენტში, პაციენტის გარდა, სხვა არაფერი არ არსებობს.“

მშობლის როლი თერაპიის პროცესში

ქ-ნი მარინა ხაზს უსვამს, რომ მშობელს უდიდესი როლი აქვს საკუთარი ბავშვის განვითარე- ბაში, რადგანაც თუ იგი არ ან ვერ განახორციელებს სპეციალისტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, თერაპიასაც ნაკლები შედეგი ექნება. თერაპია მხოლოდ ბავშვთან მუშაობას არ გულისხმობს – მშობელი თერაპიული პროცესის პასიური მონაწილეა, ანუ დგას კარს მიღმა, მაგრამ აქტიურად ადევნებს თვალყურს თერაპიის მსვლელობას. „მშობლებს საფეხურსაფეხურ ვაკვალიანებთ, ვუხსნით, როგორ უნდა აღიქვან მათი შვილი, რას უნდა მიაქციონ ყურადღება და როგორ უნდა მოიქცნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.“

სპეციალისტი აღნიშნავს, თუ რატომ არის დრო უმნიშვნელოვანესი: „მშობელზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული – პირველ რიგში, სწორად აღიქვას შვილის განვითარება და დროულად მიმართოს სპეციალისტს. არსებობს სტანდარტი, რა უნდა აკეთოს ბავშვმა 6 თვის ასაკში, 8 თვის, 1 წლის და ა.შ. ასაკში. როდესაც ბავშვს პრობლემა აქვს, დღითიდღე უფრო მძაფრდება იმიტომ, რომ მოთხოვნები ბავშვის მიმართ იზრდება – ის, რაც 2 წლის ბავშვს არ მოეთხოვება, პირობითად, 2 წლინახევრის ასაკისას მოეთხოვება. როგორც კი შევამჩნევთ, რომ რაღაც ისე არ არის როგორც უნდა იყოს, ნუ გავწელავთ დროში ბავშვის სპეციალისტთან მიყვანას, დროულად ვიმოქმედოთ, რადგან ერთმა კვირამაც შეიძლება ძალიან დიდი როლი ითამაშოს – რაც უფრო მალე დაიწყება პრობლემებზე მუშაობა, მით უფრო ადვილი ხდება მისი გამოსწორება.“.

მუსიკათერაპევტი აღნიშნავს, რომ მშობლის სწორი გადაწყვეტილება სპეციალისტთან მიმართვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „პირველ რიგში, საჭიროა, რომ მშობელმა მოიძიოს ინფორმაცია სპეციალისტის შესახებ, – რა განათლება აქვს, არის თუ არა იგი პროფესიონალი და აქვს თუ არა შესაბამისი აკადემიური ცოდნა – ფუნდამენტი, გამოცდილებასთან ერთად.“

მუსიკალური თერაპიის განვითარება საქართველოში

მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი, რომელსაც მუსიკალური თერაპიის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, აღნიშნავს, რომ თერაპიის მეთოდების წარმატებული დანერგვა საქართველოში მნიშვნელოვან დროს და ძალისხმევას მოითხოვს. „პრაქტიკულად მე დავიწყე ეს საქმე და პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ, დღემდე უამრავი საქმე გაკეთდა ამ მიმართულებით, თუმცა დარგის სრულფასოვნად დამკვიდრება საჭიროებს დროს – თვეებს და წლებსაც კი.“ – ამბობს ის.

მარინა რაიდტ-ალთუნაშვილის განცხადებით, საქართველოში არსებობს ბევრი მუსიკალური თერაპევტი, თუმცა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტია და სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მომავალ თერაპევტებს შესაბამისი განათლება და ცოდნა მიეცეთ.

ქ-ნი მარინა ხაზს უსვამს ასევე სამაგისტრო პროგრამების მნიშვნელობას, რომელიც მუსიკალური თერაპიის მიმართულებით უნდა განვითარდეს. იგი ამჟამად ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფოს უნივერსიტეტში როგორც ფსიქოლოგებისთვის, ასევე მუსიკოსებისთვის. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს მომავალი სპეციალისტების გაზრდას, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სასერტიფიკატო კურსის დანერგვაზე.

მარიამ მარკოზაშვილი

ოჯახი

მრავალშვილიანი ოჯახი ქვეყნის სიძლიერეა

ნათია წიგნაძე, მრავალშვილიანი ახალგაზრდა დედა, თბილისში დაიბადა და ბავშვობის წლებიც დედაქალაქში გაატარა. რამდენიმე წელი, ოჯახთან ერთად, სოფელ რუისპირში ცხოვრობდა, მეცხრე კლასის დასრულების შემდეგ კი – კვლავ თბილისში. როგორც თავად იხსენებს: „თბილისში 35 წელი ვიცხოვრე, იქ შევქმენი ოჯახი ნოდარ ალხაზაშვილთან ერთად, მაგრამ როდესაც შევიტყვეთ უზურფრუქტის შესახებ, რადგან საკუთარი სახლი არ გვქონდა, გადავწყვიტეთ თელავში გადმოსვლა.“

მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით წამოწყებულ – მრავალშვილიანი ოჯახებისთვის განსახლების – პროგრამაში მოხვდნენ და სახელმწიფოს თანადგომით, 50 000 ლარის ოდენობის დაფინანსებით, შეძლეს სახლის შესყიდვა.

დღეს ნათია თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მრავალშვილიანი დედაა – მას 10 შვილი ჰყავს: უფროსი, მარიამი, 26 წლისაა, დაოჯახებულია და უკვე სამი შვილის დედაა; გიორგი – 24 წლის, მუშაობს სარესტორნო სფეროში და პროფესიონალი მეხინკლეა; ანი – 19 წლის, მიმტანის პოზიციაზე მუშაობს, აქვს პროფესიული განათლება საკონდიტრო მიმართულებით და სპეციალობით კონდიტერის დამხმარეა; დანარჩენები მცირეწლოვანები, სკოლის და ბაღის აღსაზრდელები არიან: ქეთი – 14 წლის, დავითი – 12 წლის, გაბრიელი – 11 წლის, ანდრია – 9 წლის, ელენე – 8 წლის, ტასო – 6 წლის და ალექსანდრე – 5 წლის.

მრავალშვილიანი დედის დღე დილის რვა საათზე იწყება. როგორც თავად ამბობს: „ყველას ერთად ვამზადებ სკოლა-ბაღისთვის, შემდეგ მე მივდივარ სამსახურში, საღამოს შვილების სახლში დაბრუნებაზე მეუღლე ზრუნავს, დედა-ჩემიც გვეხმარება, ყურადღებას აქცევს ბავშვებს და ამეცადინებს.“

ნათია წიგნაძეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და განათლებით დაწყებითი კლასის მასწავლებელი გახლავთ, თუმცა საკუთარი სპეციალობით არ ყოფილა დასაქმებული. მიუხედავად ამისა, თავის ცოდნას სახლში ძალიან კარგად იყენებს: „ბავშვებს მომზადება არ სჭირდებათ – რაშიც უჭირთ, ყველაფერში ვეხმარები.“ იგი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს იმ თბილ და ჰარმონიულ ურთიერთობას, რაც მრავალშვილიან ოჯახში არსებობს. ბავშვები ერთმანეთს უვლიან, უფროსებს სკოლაში მიჰყავთ პატარა და-ძმები, ერთგულებით და მზრუნველობით იზრდებიან. „მკაცრი დედა არ ვარ. მეგობრული ურთიერთობა მაქვს ჩემს შვილებთან. ყოველთვის ვცდილობ, ჩავუნერგო სიყვარული, დაფასება და პატივისცემა – როგორც ერთმანეთის, ისე მშობლებისა და გარშემომყოფების მიმართ. ნებისმიერ საკითხზე ჩემთან მოდიან და თავისუფლად ვსაუბრობთ სხვადასხვა, მათთვის საინტერესო თემებზე.“

ბუნებრივია, გამოწვევები და სირთულეები არ აკლია ოჯახს. ფინანსური კუთხით განსაკუთრებულად რთულ პერიოდებად მრავალშვილიანი დედა თვლის საახალწლო დღესასწაულებს, სკოლის ექსკურსიებსა და საზეიმო ღონისძიებებს, როცა ხარჯები განსაკუთრებით იზრდება. „ექვსი ბავშვი ერთად რომ მიდის ექსკურსიაზე, ვერავის გამოტოვებ. თან ბინის შესყიდვის შემდეგ სახლის რემონტიც დაგვჭირდა – ყველაფერი მძიმე მდგომარეობაში იყო, იატაკი, კედლები, რის გამოც სესხის გამოტანა მოგვიწია“, – აცხადებს ნათია წიგნაძე.

ამ სირთულეების გადალახვაში სახელმწიფო დახმარების პროგრამა ეხმარება – ოჯახს მინიჭებული აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი. იღებენ სოციალურ და მრავალშვილიანი ოჯახის დახმარებას, წელიწადში ერთხელ კვების ვაუჩერებს და უფასო სამედიცინო სერვისებს, ასევე, თელავის მერიისგან დაფინანსებული ლოგოპედის პროგრამით სარგებლობენ.

ნათია მადლიერებას გამოხატავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მიმართაც: „ჩვენი გამგებელი თემურ გიგაური და დეპუტატი ზაზა ტატულაშვილი არცერთ დღესასწაულს არ ტოვებენ, რომ ოჯახს არ მოგვილოცონ. ბავშვთა დაცვის დღეს კი თელავის მერმა, ლევან ანდრიაშვილმა ბავშვებს ფულადი საჩუქარი პირადად გადასცა“.

რაც შეეხება ყველაზე აუცილებელ მხარდაჭერას, ნათიას თქმით, მრავალშვილიან ოჯახებს მუნიციპალიტეტში მეტი ხელმისაწვდომობა სჭირდებათ საბავშვო წრეებზე, გოგონებს ცეკვაზე სიარული სურთ, ბიჭები, როგორც სოციალურად დაუცველები, უფასოდ დადიან ფეხბურთზე, მაგრამ შესაბამისი ფორმები ძალიან ძვირი ჯდება და ამ მხრივაც კარგი იქნება დამატებითი ხელშეწყობა.

ამასთანავე, მრავალშვილიანი დედა აღნიშნავს, რომ ელექტროენერგიის ტარიფზე შეღავათით სარგებლობენ, თუმცა ზამთარში გათბობის ხარჯი ძალიან მაღალია, რაც ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას ნათია ამბობს, რომ სურს პროფესიულად განვითარდეს კულინარიის სფეროში, რომელიც ძალიან იზიდავს. თუკი შესაძლებლობა მიეცემა, დიდი სურვილი აქვს ბიდისი აკადემიაში ამ მიმართულებით კურსის გავლისა, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული წინსვლაში.

რაც შეეხება შვილებს – მათ მომავალზე მრავალშვილიანი დედა განსაკუთრებით ზრუნავს: „მინდა, ყველა მათგანი იყოს თავისუფალი ადამიანი, ჰქონდეს საკუთარი პროფესია, შემოსავლის წყარო და იყოს ფინანსურად დამოუკიდებელი პიროვნება“ – ამბობს ის და დასძენს, რომ მაქსიმალურად ცდილობს, თითოეულ მათგანს შეუქმნას განვითარების შესაბამისი პირობები.

„ვცდილობ, განსხვავეული ტიპის დეკორაციები შევქმნა“

სოფო გრიშიკაშვილი

სოფო გრიშიკაშვილი სოფელ წინანდალში დაიბადა და გაიზარდა. დაასრულა ქ.თელავის მე-9 საჯარო სკოლა და სწავლა განაგრძო იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ფაკულტეტზე.

ბავშვობიდანვე იზიდავდა ხატვა, კერვა და სხვადასხვა ხელსაქმე. ოცნებობდა დიზაინერობაზე, თუმცა არასდროს უფიქრია, რომ ოდესმე ხესთან მუშაობა მისი პროფესიული საქმე გახდებოდა. ამჟამად 28 წლის არის და ამზადებს ხის დაფებს, სამზარეულოს დეკორაციებს, ეზოს დეკორაციებს, სასანთლეებს, „ბრელოკებს“ და სხვადასხვა სუვენირებს.

„ვერასოდეს წარმომედგინა, თუ ხერხს ავიღებდი ხელში. ჩემი ძმა საუცხოო ნიჭით არის დაჯილდოებული, ბავშვობიდან უბრალო ხის ტოტებისგან პატარა სათლელი დანით ულამაზეს ნივთებს ქმნიდა. ალბათ მისგან ვისწავლე ეს ყველაფერი“ – გვიყვება სოფო.

პანდემიის პერიოდი

პანდემიის პერიოდში დაიწყო მისი ხისადმი სიყვარული. მეორე შვილის გაჩენის შემდეგ, სტრესისა და პოსტ-სამშობიარო დეპრესიის ფონზე, სოფომ გამოსავალი იპოვა – ბავშვებთან ერთად სხვადასხვა ნივთებს ქმნიდა, რაც მალე ნამდვილ საქმედ იქცა.

„ისე გამიტაცა ამ ყველაფერმა, რომ უკვე მეგობრებისთვის დავიწყე საჩუქრების გაკეთება. ასევე, როდესაც ხის პატარა სახლი შევქმენი და ჩემს პროფილზე დავდე და მალე მისი რეალიზაციაც მოვახდინე. სურვილი გამიჩნდა, უფრო მეტი გამეკეთებინა, რადგან ჩვენს რეგიონში მეტად განსხვავებული საქმიანობა იყო“ – ამბობს ის.

პროგრამა, რომელიც განსაკუთრებით დაეხმარა

სოფო გრიშიკაშვილს არ ჰქონდა არანაირი ხელსაწყო. როგორც თავად იხსენებს, მეუღლე დაუდგა მხარში და საწყის ეტაპზე, საცდელად უყიდა ბეწვა ხერხი.

„– რკინას ვაცხელებდი და ასე ვწვავდი, ამის გამო ხშირად დამწვია ხელი. მივხვდი, რომ საჭირო ხელსაწყოები რომ მქონოდა, მეტი შრომა იყო საჭირო.

ძალიან მალე სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო მეწარმეობის საგრანტო პროგრამა გამოცხადდა და გადაწყვიტა, მიეღო მონაწილეობა. მიუხედავად დიდი ნერვიულობისა, ოჯახის, მეგობრების მხარდაჭერითა და კარგი პროექტის დახმარებით გაიმარჯვა – მიიღო დაფინანსება, რომლის საშუალებითაც შეიძინა ხელსაწყოები, შექმნა სახელოსნო და მას შემდეგ აქტიურად საქმიანობს.

დიზაინის შექმნის პროცესი

თავდაპირველად ხელოვანს ხის ტოტებისა და გირჩების გარდა, არაფერი გააჩნდა, თუმცა ეს მასალები როგორც კი მის ხელში აღმოჩნდებოდა, უკვე იცოდა რას შექმნიდა.

„როგორც კი ხეს დავიჭერდი ხელში, მაშინვე ვხვდებოდი, რას გავაკეთებდი მისგან,“ – აღნიშნავს სოფო. ხის დამუშავების ყველა ეტაპს – გარანდვიდან დაზუმფარებამდე – თავად ასრულებს. ნამუშევრის საბოლოო ფორმას კი, როგორც თავად ამბობს, ხის ბუნებრივი ფორმა კარნახობს. ასე იბადება დაფა, სასანთლე და სხვადასხვა დეკორატიული ნივთები.

სოფოსთვის მთავარი ინსპირაცია სიფერადეა. “მიყვარს სიფერადე და სწორედ ამიტომ, ხშირ შემთხვევაში სასანთლეც კი მომიხატია. ვცდილობ, ყოველთვის არაერთფეროვანი, განსხვავეული ტიპის დეკორაციები შევქმნა, რაც უფრო მოთხოვნადს ქმნის ჩემს პროდუქციას.“

მეწარმე შეკვეთებს იღებს როგორც ონლაინ, ფეისბუქის პლატფორმაზე საკუთარი გვერდის (“Sofi’s Art” და „სოფის ხელნაკეთი ნივთები“) საშუალებით, ასევე ადგილზე.

„წელს გამოფენაში მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. ძალიან მოეწონათ ჩემი ნამუშევრები და 26 მაისს უკვე შევძლებ, რომ ისინი უფრო მეტ ადამიანს გავაცნო,“ – ამბობს ხელოვანი.

განსაკუთრებული წარმატება

„ვფიქრობ, იღბლიანი ვარ, რომ ასეთი ნიჭი მარგუნა უფალმა,“ – ამბობს სოფო გრიშიკაშვილი და ხაზს უსვამს, რომ ამის მიღმა უდიდესი შრომა და ძალისხმევა დგას. მისთვის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს თითოეული გაყიდული ნამუშევარი, რადგან სწორედ ამით გრძნობს, რამდენად მოთხოვნადია მის მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები.

ერთ გამორჩეულ წარმატებასაც იხსენებს: „პირველად, როდესაც ხის ფესვის ნაწილებისგან სასანთლე დავამზადე, „აწარმოე ქართული“-ს ჯგუფში განვთავსე, სადაც ერთ დღეში 100 000 ზე მეტი ნახვა და ძალიან ბევრი მოწონება დააგროვა. ამან კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა, რომ ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებდი“.

მთავარი მიზანი და რჩევა ქალებს

სოფო ამბობს, რომ მისი მთავარი მიზანი უფრო მეტად განვითარება და გაფართოვებაა. მისთვის მნიშვნელოვანია და დიდი სურვილი

აქვს, რომ ხის ხელსაქმის მიმართ სიყვარული გაიზარდოს და რაც შეიძლება მეტი ქალი დასაქმდეს ამ სფეროში.

პირველი ნაბიჯების დროს, სოფოს ხშირად ესმოდა ფრაზა: „ხე და ხერხი რა ქალის საქმეა? რამე სხვა ისწავლე, ბავშვები გყავს და მათ მიხედე“... თუმცა ხელოვანი აღნიშნავს, რომ ჰყავს საუკეთესო მეუღლე და ოჯახი, რომლებიც მხარში დაუდგნენ და მიზნის მიღწევაში არ შეუშალეს ხელი.

„ამიტომ ყველა ქალს ვურჩევ, თავიანთი სურვილები განახორციელონ და არავის გამო არაფერზე თქვან უარი, რაც მათ განვითარებას შეუწყობს ხელს. ბავშვების ყოლა არ არის ხელშემშლელი ფაქტორი – პირიქით, მე მათთან ერთად ვმუშაობ და ვვითარდები,“ – აცხადებს სოფო.

გვერდი მოამზადა მარიამ მარკოზაშვილმა

პოეზია

„საკაცობრიო სევდას იტევს ჩემი კალამი“...

მარიამ კოზმანიშვილის ლექსების ახალი კრებულის წარდგენა

30 აპრილს, პოეტის დაბადების დღეს, თბილისში, ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა თელაველი პოეტის მარიამ კოზმანიშვილის ახალი წიგნის – „სული ჩემი, თეთრი იასამანი“-ს წარდგენა. ამ ღონისძიებამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც თეატრის სავსე დარბაზიც მოწმობდა.

პოეტი საკუთარ თავზე:

ჩემი სიცოცხლის კიდევ ერთ წელს, დამოკლებულ კაბასავით დაკეცავს აპრილი და ატმის ყვავილებით მოქარგულ სკივრში საგულდაგულოდ გადაინახავს.

გაზაფხული ახალგაზრდობას მპარავს დიდი ხანია.

მე კი ისევ ძველებური გაგიჟებით მიყვარს მისი მობრძანება.

იასამნების სურნელით გაბრუებულ ჰაერს თვალდახუჭული ვიგროვებ ზამთრის უფერადობით დაღლილ სულში და მავიწყდება დარდი გაფრენილ წლებზე.

მიყვარს გაზაფხული!
მიყვარს აპრილი !
მიყვარს სიცოცხლე!..
„მე დავიბადე აპრილის თვეში“,
იასამნების ტკბილი სურნელით
და დამებედა ლტოლვა ზეცისკენ,
ძებნა და სევდა, განუკურნელი“...

მიყვარს 30 აპრილი. დღე, როცა ამ ცოდვამადლიან სამყაროს მოვევლინე საკუთარი ბედითა თუ უიღბლობით. მიყვარს სიცოცხლე, სიყვარული, ადამიანები, ყველაფერი – რაც განგებამ შექმნა კეთილი ნებით. ამიტომ მეწერება ის, რასაც ვწერ. ყველა ლექსი გულიდან მოდის და არაფრის შელამაზებას არ ვცდილობ. მადლობა უფალს და თქვენ, ადამიანებო, ვინც მიღებთ გულის და გონების კარს! ვინც მასწავლით კარგსაც და ცუდსაც. ვისაც სწორედ ასეთი უბრალო და ცხვირაუწეველი მოგწონვართ და მომყვებით ჩემს სევდასა და სიხარულში!

წიგნის რედაქტორისგან – მარინა თეძთუმანიძე:

არიან ადამიანები, ქალი პოეტები, შემოგიღებენ გულის კარს და არსად მიდიან, იქვე რჩებიან სამარადისოდ. რჩებიან იმიტომ, რომ კართან „მზეს ტოვებენ“ გასათბობად, სულს სინათლით გივსებენ, თავს განატრებენ და გაფიქრებინებენ, ერთი კარგად ჩავუჯდე მის წიგნს, იქნებ ჩემს სანუხარს რომელიმე ლექსი სალბუნად დაედოსო. კიდევ იმით არიან გამორჩეულები, რომ მკითხველთა და თაყვანისმცემელთა მთელი არმია ჰყავთ, ვისაც უყვარს და მის ლექსებზე ხან კომპოზიტორები წერენ სიმღერებს და ხანაც მოყვარული მუსიკოსები.

მარიამ კოზმანიშვილზე მოგახსენებთ, კახეთში მცხოვრებ უფაქიზეს პოეტზე, ჩემს მეგობარზე, ადამიანზე, რომელიც თავის არცთუ დალხენილ ცხოვრებას სხვაზე გაცემულით, სხვისთვის განვდილი დახმარების ხელით ფარავს. არაერთხელ გამკვირვებია ზედმიწევნით პრაქტიკული ადამიანებისა, ვისგანაც მარიამი შინაგანი პოეტური სამყაროთი დიდად განსხვავდება.

„მიწის პოეტიცაა“ მარიამი, ამიტომაც გადაცვალა თელავის ბინა კისისხევის სოფლის სახლზე და ახლა მიწას დაჰგურგურებს, ყველა ადლს ეალერსება და იქაურობას ისე ალამაზებს, რომ მიწის პოეზიას ცალკე წერს, იმ მიწის პოეზიას, რომელიც სიცოცხლესაც გვჩუქნის და ულამაზეს სტრიქონებსაც...

„ქვის პოეზია“ მარიამის ლექსების გაგრძელებაა, ქვაში ხატავს სტრიქონებს და საგულდაგულოდ მოძებნილი, შერჩეული ქვებით ახალ-ახალ ამბებს გვიყვება, ახალ-ახალ ლექსებს გვჩუქნის.

არასოდეს უცხოვრია მდიდრულად და უდარდელად. წუთისოფლის სიმძიმის სევდამ უფრო მიმტევებელი, უფრო გულისხმიერი, უფრო კეთილი გახადა პოეტი ქალი.

ძალიან მიხარია, რომ საკმაო პაუზის შემდეგ მარიამის ახალი წიგნი გამოვიდა.

ვისაც გინდათ ჩაწვდეთ მარიამის სულსთეთრ იასამანს, წაიკითხეთ ეს წიგნი, რომ პოეტი ქალის ცხოვრებას მარადიულად დაემგზავროთ...

წინათქმა ლექსების ახალი კრებულისთვის – თამილა ჯაფარიძე:

„მოსასწრებია სიყვარული – დედამიწაზე!“

მოდით, ავიაროთ სიმართლის კიბეზე, ხელი გულზე დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, მარიამ კოზმანიშვილი თვალსაჩინო ლირიკოსია!

ეს პოეტი „ჩუმად მარტოობს“. მას იცნობენ, როგორც მზის დობილს და მზის ჩამომრიგებელს.

პირადად ახლოს არ ვიცნობ.

ერთხელ შევხვდი თავისივე წიგნის წარდგენაზე. არც გვისაუბრია. თუმცა, ჩემი სვანური გუმანით ვგრძნობ, რომ იმაზე კარგად ვიცნობ, ვიდრე მას ჰგონია. თავისივე ლექსებმა გათქვეს და რა ჩემი ბრალია! მისი პოეზიის ბრალია ჩვენი ვირტუალური „დანათესავება“.

მარიამ კოზმანიშვილის პოეტური პორტრეტის ჩემეული შტრიხებიც მაქვს:

მოხდენილი ქალი ზის და „თმენის ფარდაგზე, ფიქრების გორგალს,

გული იმედის ფთილებად ართავს.“

მარიამი მუდამ „ფიქრის საჩეჩელს“ მიმჯდარი დედა, დიასახლისი, მეუღლე და ბებია გახლავთ, მაგრამ მარიამი უპირველესად პოეტია!

ისეთი პოეტი, რომელსაც შეუძლია ქვაშიც პოეზია აახმიანოს, ქვა პოეზიად აქციოს და ქვაში ადამიანის ღირებულებები აღმოაჩინოს.

ეს პირდაპირი მნიშვნელობით შეუძლია;

მარიამის „ქვის პოეზია“ ცალკე განსჯის თემაა, რასაც მე ვერ შევწვდები.

„გგონიათ მიცნობთ?..არაფერიც არ იცით ჩემზე...“ ამბობს მარიამი და პოეტის პორტრეტის პირველი შტრიხიც სახეზეა:

ის გონიერი და ბრძენი პოეტია! უპირობოდ ასეა! ამაზე მისი ლექსები ჩუმად ხმაურობენ.

მეორე შტრიხი:

„ქაოსისაგან შემიძლია შევქმნა ზღაპარი,
პოეზიაა რადგან სულის თავშესაფარი“.

ამ თავშესაფარში „გლეხის ქალი“ მარიამი, ნამდვილი დედოფალია!

ყველგან, ყველაფერში მზის და სიკეთის მაძიებელი დედოფალი!

თავის თავზე ამბობს- „ცოტა ნიჭიერი და ცოტა თავხედი“ ვარო, მაგრამ ამ შტრიხშიც ბრძნული თავშეკავების ნოტები ისმის და ძალიან მომწონს.

მარიამის პორტრეტის მომდევნო და უსასრულო შტრიხები მის უდიდებულესობას პოეზიას მივანდოთ; სიყვარულზე ისე წერს, თითქოს სიყვარულის მესაკუთრე, პატრონი და გამომგონებელი იყოს. სიყვარულშიც ისე დედოფლობს, როგორც „თმენის ფარდაგზე“.

„მოსასწრებია სიყვარული – დედამიწაზე!“ – ისე აცხადებს, თითქოს მის დაკანონებას მოითხოვს; არადა, მართლაც სულზე მოსასწრები მოთხოვნაა! დიახ, დავაკანონებდი და კონსტიტუციაში ჩავწერდი, საავტორო უფლების დაცვით!

ნახეთ ეს „ცოტა თავხედი“ პოეტი, როგორ ამბობს:

„სიცოცხლე რაა,
მე სიცოცხლის
მერეც დაგიცდი,
რომ შენს ცხელ ხელზე
ჩემი გული
განძივით დავდო!“

ეს სასტიკი, ბრძენი და გონიერი, შეუვალი და წარბშეკრული,

„უკარმისამართო ქარის მგზავრი“, „თმენის სარტყელშემოჭერილი“, სიყვარულის დამკანონებელი მარიამი, ერთმა პატარა, მაგრამ მაღალმა პოეზიის მელოდიამ ბოლომდე გათქვა და ჩამოხსნა „ნიღაბი“:

„ერთხელ გადმოდი კალაპოტიდან...
დადგენილ საზღვრის გასცდი ნაპირებს...
მასთან, ვინც გსურდა და არ გყოფნიდა,
აბრიალდი და გაიაპრილე!“

აი, სინამდვილეში რა მფარველი მუზები ჰყავს მარიამს!

ჯერ კიდევ ამოუცნობია მარიამ კოზმანიშვილის პოეტური ფენომენი. თავადაც წამოსცდა: „უფრო მეტი ვარ,ვიდრე ამხელს საქვეყნოდ თვალი.“

დიახ, მარიამი უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ.

მე ვიტყოდი, მარიამი მომავლის პოეტია. მასზე ბევრს დაწერენ, ილაპარაკებენ, იკამათებენ, შეისწავლიან, გაიგებენ...

მარიამის პორტრეტის „შტრიხებისთვის“ მრავალთაგან მონიშნული მაქვს კიდევ ერთი დაუვიწყარი სტრიქონი:

„დგას ბროწეული – დასჯილი ბავშვი
და უვარსკვლავო ზეცას აჰყურებს.“

მარიამის ამოსაცნობი ნიშნებიდან მთავარზე მიგანიშნებთ:

ეს არის მზე!

დიახ, ცნობილი „მაწანწალა“ მზის დობილი, ყველას კარებთან მზეებს ალაგებს!

თუმცა მარიამის კარდაკარ „წანწალიც“ ალბათ მფარველი მუზების ბრალია! გათბით და გაკეთილშობილდითო, ლექსებით ყვირის, მაგრამ გავიგონეთ?!

მარიამმა თავისი განსხვავებული პოეზიით სხვადასხვა „კატეგორიის“ მზეები შექმნა. ჰო, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა! მაგალითად, ლექსით გასაცემი მზის ერთი სახეობა ასეთია:

„გამოგიგზავნე შემოდგომის
თაფლისფერი მზე,
შუშხუნა მაჭრის გონამრევი,
ტკბილი სურნელით.“

მოდი და კართან ასეთი წყალობა რომ დაგხვდება, კარს ნუ გააღებ! დიახ, ფართოდ გავაღებ სახლის და გულის კარებს და მარიამის მზე-პოეზიას ჩემთან დავაბინავებ.

ამის მერე მზეთამხმობელი, მზეთამბრძანებელი მარიამი სევდამორეული იტყვის:

„ვაფორიაქე ჭერი და ფუძე...
ვცვითე კალამი, როგორც ნამგალი...
ჩემი სიმშვიდე შევწირე მუზებს
დ ა ტარიგივით ჩუმად დავკალი.“

სიტყვა მარიამის ხელში მზესავით მხურვალეა და როგორც უნდა ისე მოაქცევს. ქვის პოეზიად გარდამქმნელს სიტყვის ვნებაში გამოტარებაც კარგად გამოსდის:

„ბნელა...
აანთე გვირილები...
გხედავდე, მინდა!“

ამბობენ, თუ ლექსიდან ერთი სტრიქონი მაინც გამახსოვრდება, ესეიგი კარგი ლექსიაო. მარიამის ლექსი ჟრუანტელის გარეშე არ დაგტოვებს. ეს „სიმპტომიც“ მის ანგარიშზეა; სტრიქონები მამახსოვრდება და სხვას ვუზიარებ; ესეც უტყუარი „სიმპტომი“. ეს სტრიქონი არასდროს დამავიწყდება: „დრომ სიყვარული ჩამომახია, როგორც მეკობრემ მძევალს – საკინძე...“

პოეზიას ბევრი ჭირისუფალიც ჰყავს და ბევრი მტერიც. ვინც პოეზიას სათუთად ეპყრობა, ის ჭირისუფალია. მტერი ღმერთმა გვაშოროს!

მარიამის „მარტოობის ჭინჭილა“ პოეზიისთვის და პოეზიაშია ჩასახული.

მისი „ფიქრის კიდობნები“ სავსეა პოეტური მღელვარებით და ქალური ვნებით;

ეს ხელებდაკაპიწებული მზის დიასახლისი ცოტას კი არა, ძალიანაც „თავხედობს“:

„ვქსოვ სააპრილო ნატვრების ქობებს
და მზე ამომყავს ღრუბლის ცომიდან...“

დღეს, თანამედროვე საქართველოში, გათითოკაცების მომაკვდინებელ დროში, უნდობლობის, სიძულვილის ენით მოშხამულ ადამიანებს მხოლოდ სიყვარული იხსნის. მარიამ კოზმანიშვილი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევს ლექსის მანდილით ჩადგეს ადამიანთა შორის და სინდისის კარნახით დაწერილი ლექსით შეგვაფხიზლოს:

„გოჯ-გოჯად გაეცით სიყვარული,
იქნებ დაგიბრუნდეთ არშინებით!“

მარიამის პოეტური პორტრეტის შტრიხებს რა გამოლევს, მაგრამ ერთი მაინც უნდა დავინახოთ; მზის დიასახლისი ამავდროულად „ჩიტების დამპურებელია“:

„ჩემს აივანთან, ცაცხვის ნედლ რტოზე,
ირხევა თოვლის ქულა საყურედ...
გავყურებ ნისლით დაბურულ სივრცეს
და მოშიებულ ჩიტებს ვაპურებ.“

მზეები ჩამორიგებული აქვს, ჩიტები დაპურებული, სიყვარულის კონსტიტუცია დაწერილი... კიდევ ბევრი რამე უნდა ითქვას, მაგრამ ხომ საინტერესოა პირადად მისთვის გადამალულ-შენახული მზე? პასუხი ნახეთ:

„მოვდევ წუთისოფლის გზას,
წუთისოფლის მგზავრი...
სულში მზე რომ შემომრჩა,
შენს ცივ გულთან ვგზავნი!“

მარიამ კოზმანიშვილმა ქართულ პოეზიაში დაიმკვიდრა სათანადო ადგილი. ეს გარდაუვალი ამბავია. მისი მთავარი მიზანი გაცხადებულია უფლისადმი მიძღვნილ ლექსში:

„მომეცი ნება, ავუყვე მწვერვალს...
ნუ გამიწყრები შეშლილს და ობოლს...
სადმე, ქარაფთან, დაშლილ ფაცხაში,
მგზნებარე სული ლექსებად ვშობო.“

კიდევ ბევრ საქებარს ვიტყოდი ჩემს პოეტზე, მაგრამ ვიცი, არ მოეწონება.

პოეტი, მთარგმნელი, მეა ივანისელი:

როცა პოეტის შემოქმედებას ეცნობი და კითხულობ ათას ტკივილსა და სიხარულში გამოტარებულ სტიქონებს, თავისთავად უახლოვდები მის სულიერ სამყაროს და ხვდები როგორ იშლება სიშორე და მანძილი თქვენ შორის, ასეთ დროს აღარ გჭირდება ფიზიკური სიახლოვე, რადგან უეცრად აღმოაჩენ, რომ სულით მონათესავე ადამიანი იპოვე ამ სამყაროში.

ქალბატონი მარიამის ლექსებს როცა პირველად გავეცანი, კარგად მახსოვს რამდენჯერმე მივუბრუნდი და თავიდან გადავიკითხე.

ის ემოცია, რომელმაც ჩემი ფიქრები გაფანტა და ისევ ერთად შეაგროვა, დღემდე გამომყვა.

ვკითხულობდი მის ლექსებს და ჩემ წინ იხატებოდა ქალი, მთელი თავისი სიდიადით, გამხელილი თუ გაუმხელელი სევდით, ერთგულებით, სიყვარულით, მზრუნველობით, სიამაყით, სიძლიერით სავსე – ყველაფერი ერთად იკითხებოდა მის სტრიქონებში, მე დავინახე ქალი-დედა, ქალი – ოჯახის მოამაგე, ქალი – ტკივილების მატარებელი, ქალი – ლამპარი, რომელიც თავისივე სულიერებით ანათებს და სწორედ ამით გამოირჩევა იმ ქალებისგან, რომელთაც საკუთარი „მე“ ყველაზე წინ დაუყენებიათ და ნებსით თუ უნებლიეთ სიყვარული საკუთარი ხელითვე წაუშლიათ...

ჩემთვის ქალბატონი მარიამის შემოქმედება ორი მთავარი მახასიათებლით გახდა საინტერესო – საოცრად შთამბეჭდავად გადმოცემული შემოქმედის იდუმალი სული და ფერები, რომლებიც თავის ადგილზე ალაგებდა განვლილი და ჯერ კიდევ გასავლელი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

ქალბატონი მარიამი გამორჩეული ხელწერის შემოქმედია, ის არავის ჰგავს საკუთარი თავის გარდა, მისი შემოქმედება სიღრმისეული და გულწრფელია, სიტყვები, რომლითაც საკუთარ აზრს, ემოციას, ფიქრებს გადმოსცემს, უსიყვარულობას შლის და შთამბეჭდავ კვალს ტოვებს მკითხველში.

„სული ჩემი, თეთრი იასამანი“ – შემთხვევითი არ არის კრებულის სახელწოდება, მხოლოდ ეს სტრიქონებიც საკმარისია იმისთვის, რომ ნათლად დაინახოთ ავტორის სულიერი სამყარო.

წარმატებას ვუსურვებ ქალბატონ მარიამს, მკითხველს კი საინტერესო და სასიამოვნო მოგზაურობას ავტორის საოცარ სულიერ სამყაროში.

გამოხმაურება პოეზიის საღამოდან – მანანა გაბუნია:

მადლობა კეთილშობილებით და უბრალოებით გამორჩეულ ქალბატონ **მარიამ კოზმანიშვილს**, რომელმაც გვაჩუქა მზითა და იასამნების სურნელით გაჯერებული პოეზიის საღამო ლიტერატურის მუზეუმში, სადაც გაიმართა მისი წიგნის „სული ჩემი, თეთრი იასამანი“ პრეზენტაცია.

ქალბატონო მარიამ, ვტკბები თქვენი შემოქმედებით, ის საუკეთესოა... სიყვარულით არის გაჟღენთილი თქვენი ლექსები. ყველასაგან განსხვავებული პოეტი ხართ! სულ მქონდა თქვენთან შეხვედრისა და გაცნობის სურვილი, მადლობა, რომ დადგა ეს დღე – თქვენსავით საოცრად კარგი და ლამაზი. გილოცავთ, ძვირფასო მარიამ, თქვენი წიგნის დაბადებას, რომელიც თქვენი დაბადების დღეს დაიბადა და შვილის დაბადების ტოლფასია. ,საოცარია თქვენი პოეზია – სულიერებით სავსე, ისე წერთ, როგორც ცხოვრობთ, ყოველგვარი სიყალბის გარეშე და ამით გამოირჩევით. თქვენი წიგნი სიტყვათა მარგალიტებით არის აკინძული. ამ დღეს პირველად მოვუსმინე თქვენს ლექსზე ამღერებული, ჩემი საყვარელი, უნიჭიერესი მეგობრის, კომპოზიტორ ია მაისაიას მუსიკას, რომელსაც არაჩვეულებრივად ასრულებს თავად. რა სასიამოვნოა ასეთი შემოქმედებითი ტანდემი. მადლობა. თქვენ და ქალბატონ იას ამ ულამაზესი სიმღერის მოსმენისას მიღებული სიამოვნებისთვის.

პოეტის სამადლოგელი

წიგნის დაბადება შვილის დაბადების ტოლფასია.

რჩები და გრძელდები სამომავლო, უშენო გზებზე და სივრცეში ამოთქმულ ლექსებად და ფიქრებად.

მთელ სულსა და გულს აყოლებ სათქმელს და მაინც არ ხარ კმაყოფილი, მაინც იმ ერთს, დაუწერელ, დიდსა და დიადს ელოდები, რომლისთვისაც აწვალებ სიტყვას და კალამს.

აჰა, მობრძანდა სამზეოში ჩუმად და უპრეტენზიოდ.

მორჩილად მომლოდინე, მკითხველთა გულებში შესაღწევად.

გარეკანის მხატვრობა სრულად შეესაბამება (ჩემი რწმენით) წიგნის სათაურს, რისთვისაც მთელი გულით ვმადლობ საყვარელ ირმა კესარია გირგვლიანს.

ასევე გულითადად ვუხდი მადლობას, კრებულის რედაქტორებს: ლია მეტრეველს და მარინა თეძთუმანიძეს.

მატერიალურ თანამდგომებს და საუკეთესო ადამიანებს: ჯენი ჩხეიძეს და ლალი ჯულაყიძეს.

უღრმესი მადლობა, წინასიტყვაობების ავტორებს: თამილა ჯაფარიძეს, რუსუდან კაციტაძეს და მეა ივანისელს,

ჩემს მოლოდინს გადააჭარბა მობრძანებული ადამიანების რაოდენობამ!

ვარ მადლიერი და ბედნიერი!

საღამო სავსე იყო სიყვარულით და სიხარულით.

ღიმილი – მსმენელთა სახეებზე, ნათელ სხივებად ინთებოდა და ერთ დიდ, ბრიალა მზედ კაშკაშებდა დარბაზში!

მადლობა უფალს, ამ მზისთვის!

ნელი ცქიტიშვილი

კულტურა

18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნა

მუზეუმი – საზოგადოების ინტერესების კვალდაკვალ

მუზეუმი კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მსოფლიო მუზეუმებში, ისევე, როგორც საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილება, რომლის მიზანია – საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოება, სასწავლო პროგრამების ორგანიზება, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ასევე მკვლევრებთან ურთიერთობა და სხვ.

მუზეუმის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჩართულია ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რამდენად მოქმედებს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

თელავის ისტორიულ მუზეუმში 2019 წლის 15 ივნისიდან მუშაობა დაიწყო ახლადშექმნილმა – საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილებამ, რომლის ხელმძღვანელია ფილოლოგიის დოქტორი თინათინ თუშაბრამიშვილი. განყოფილებას ჰყავს ორი სპეციალისტი – მაია კაციაშვილი და სოფიკო ფეიქრიშვილი. მათი ხელმძღვანელობით შემუშავდა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებშიც ჩართულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები, ლექტორები და სტუდენტები. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მუზეუმში იმართება არაერთი საინტერესო აქტივობა.

თელავის ისტორიული მუზეუმი იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესეოა თემატურ-შინაარსობრივად, რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო გეგმაში ჩართონ მუზეუმის შესაძლებლობები. საგანმანათლებლო საქმიანობის პოლიტიკის ფარგლებში, მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილებამ შეიმუშავა ხუთი შემეცნებითი პროგრამა. ესენია:

„ჩვენთან ყელა-ფერია“;
„წერილი მას“;
„ზღაპრის საათი მუზეუმში“;
„შეისწავლე ექსპონატი“;
„პატარა კახი“.

უნდა აღინიშნოს, რომ თელავის ისტორიული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილებამ ჩაატარა სამეცნიერო კონფერენციები, ლექცია-სემინარები და ბევრი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება. ამის ნათელსაყოფად, ბოლო ერთი წლის მანძილზე განხორციელებულ რამდენიმე მათგანს გაგაცნობთ:

2024 წლის 19 აპრილს – რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 200 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;

2024 წლის 18 მაისს – მუზეუმების საერთაშორისო დღესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „მუზეუმი და განათლება“;

2024 წლის 4 ივლისს – მუზეუმის საკონფერენციო სივრცეში გურამ რჩეულიშვილის 90-ე იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გაიმართა.

2024 წლის 13 აგვისტოს თელავის ისტორიული მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა;

2025 წლის 25 იანვარს თელავის ისტორიული მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში „განათლების საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი შეხვედრა გაიმართა.

2025 წლის 19 მარტს მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში, სხვადასხვა საგნის პედაგოგებისთვის საინფორმაციო ბუკლეტის – „თელავის ისტორიული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების“ – პრეზენტაცია ჩატარდა.

წარმოდგენილი ღონისძიებების პარალელურად, საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების მიერ შემუშავებული პროგრამების ფარგლებში, მუზეუმს პერიოდულად სტუმრობენ საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები.

მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამის „მუზეუმი და სკოლა“ ფარგლებში, ბოლო პერიოდში, მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში სოფ.ყარაჯლის სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თემა – „მეფე ერეკლე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“ (პედაგოგი აზიზ აბაზოვი); თელავის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა კი კახთ მეფეთა სასახლის აივანზე წარმოადგინეს პრეზენტაციები ერეკლე მეორის მიერ გატარებული რეფორმებისა და პირველი საჯარო სკოლის დაარსების შესახებ (პედაგოგი ია გრიშიკაშვილი).

თელავის ისტორიულმა მუზეუმმა UCMAS-ის მენტალური არითმეტიკის საერთაშორისო პროგრამის თელავის სკოლის ვორქშოპსაც უმასპინძლა. ამ მასტერკლასზე ბავშვები გაეცნენ მენტალური არითმეტიკის პრინციპებს, სპეციალურ საანგარიშოზე, აბაკუსზე გამოთვლის პრინციპს და ჩაერთნენ სახალისო აქტივობებში. UCMAS მენტალური არითმეტიკის პროგრამა ხელს უწყობს გონებრივი და არითმეტიკულ უნარების განვითარებას, თავდაჯერებულობას, ფოკუსირებას და უწყვეტი სწავლისადმი სწრაფვას.

– „წარმოდგენილი ღონისძიებების პარალელურად, საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების მიერ შემუშავებული პროგრამების ფარგლებში, მუზეუმს პერიოდულად სტუმრობენ საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები. ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც მუზეუმისთვის, ისე სკოლებისთვის, რადგან ცოცხალ გარემოში, კონკრეტული მაგალითებით სწავლება უფრო ეფექტურია. ვცდილობთ, სიახლეები შევიტანოთ ჩვენს საქმიანობაში, რათა უფრო საინტერესო გახდეს მუზეუმში მოსვლა სხვადასხვა ასაკის თუ პროფესიის ადამიანებისთვის – აღნიშნა თინათინ თუშაბრამიშვილმა.

ვულოცავთ მუზეუმის ყველა თანამშრომელს პროფესიულ დღეს.

წინანდლის სამუსიკო სკოლის მორიგი წარმატება

წინანდლის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები, ყოველ ფესტივალზე წარმატებებს აღწევენ. ამჯერადაც მათ კონკურსის გამარჯვებულის წოდება დაიმსახურეს. ამასთან დაკავშირებით, პედაგოგს და ანსამბლის ხელმძღვანელს, ნანა ელიზბარაშვილს ვთხოვეთ გაეცნო კონკურსის შედეგები და გამარჯვებული მონაწილეები.

– ჩემი მოსწავლეები არიან მრავალგზის კონკურსის ლაურეატები და ოქროს მედალოსნები. არც ამ წელს არის გამონაკლისი – მათ ორ კონკურს-ფესტივალზე გვასახელეს. წარმოგიდგენთ გამარჯვებულ ბავშვებს: საბა ტეტიაშვილი, გიორგი ესიტაშვილი, ზუკა ჭილაშვილი, აკაკი ამირანიძე, გიორგი ლომიძე, ანამარია საგინაძე და ანამარია ვაყელიშვილი.

ჩვენი ანსამბლი მცირე რაოდენობით წარსდგა შერეული საკრავებით, როგორც ხალხური (ფანდური, დოლი), ასევე კლასიკური (ვიოლინოს) თანხლებით.შევასრულეთ ვიქტორ დოლიძის და ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან ქართული ცეკვის მელოდიების პოპური, რამაც დიდი წარმატება და მოწონება დაიმსახურა. ამ საკრავების გაერთიანება – ეს იყო ინოვაცია, სიახლე. მომავალ წელს, ვფიქრობ, უფრო ფართო მასშტაბით წარვსდგეთ ნებისმიერ კონკურს-ფესტივალზე და უფრო უკეთესი შედეგები დავდოთ.

თუმცა, წელს მიღწეული წარმატებებითაც ძალიან ვამაყობთ: ხელოვანთა კავშირის მიერ ჩატარებულმა ფესტივალმა სახელწოდებით „მომავლის ვარსკვლავები“ მოგვანიჭა ლაურეატის წოდება ნომინაციით „ქართული საცეკვაო მუსიკის პოპულარიზაციისთვის“; ფესტივალზე, რომელიც ჩატარდა საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის მიერ, სახელწოდებით – „იპოვე შენი ვარსკვლავი“, მოგვენიჭა ლაურეატის წოდება და პირველი ადგილი – ოქროს მედალი. (ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომები და მედლები), რისთვისაც მადლობას გადავუხდი ყველა მონაწილეს და ვუსურვებ კიდევ ბევრ წარმატებას.

მინდა აღვნიშნო, რომ, ტრადიციულად, ჩვენი სკოლა, მისი ღვაწლმოსილი დირექტორის – ნუნუ მაისურაძის ხელმძღვანელობით, ყოველწლიურად ატარებს შემაჯამებელ, წლის საჩვენებელ კონცერტს. ამჯერადაც, 14 ივნისს დაგეგმილი გვაქვს საჩვენებელი კონცერტი, სადაც შესრულდება კონკურსზე გამარჯვებული მელოდიებიც.

ვამაყობ, რომ ვემსახურები საყვარელ საქმეს საუკეთესო კოლეგების და ნიჭიერი ბავშვების გარემოცვაში. ჩვენი სკოლა მართლაც გამორჩეულია ასეთი ბავშვებით და პედაგოგებით“ – აღნიშნავს ნანა მასწავლებელი.

ნიჭიერი და წარმატებული პედაგოგი იმასაც გვიმხელს, რომ სახლში მოწყობილი აქვს პატარა სტუდია, სადაც მუსიკალური განათლების მსურველ ბავშვებს შეასწავლის სხვადასხვა ინსტრუმენტებს: ვიოლინოს, ფანდურს (ხალხურ ფანდურს და ქრომატიულს, კლასიკურს), ფორტეპიანოს, სალამურს, დუდუკს, დოლს. ამჟამად მას უკვე ჰყავს მოსწავლეები და მსურველებისთვის კვლავ აცხადებს მიღებას სხვადასხვა საკრავის შესწავლაზე.

ვფიქრობთ, ნანა ელიზბარაშვილის შეთავაზება ბევრ მშობელს და მოსწავლეს დააინტერესებს, რადგან მისი პედაგოგიური კეთილსინდისიერების დასტურია ის წარმატებები, რასაც მისი აღსაზრდელები აღწევენ საერთაშორისო თუ ეროვნულ კონკურსებზე.

ტრადიციული „სააღდგომო ფესტივალი“ ჩატარდა

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში XX საერთაშორისო „სააღდგომო ფესტივალი“ გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ სოპრანო – ნანა ქავთარაშვილი, ტენორი – პაოლო ლარდიცონე და კონცერტმაისტერი – ირინა აივაზოვა.

საადგომო ფესტივალს თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი, მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი და კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

„საადგომო ფესტივალი“ ტრადიციულ ხასიათს ატარებს და თელავში უკვე მერვედ ჩატარდა. ფესტივალის დამფუძნებელია მანანა ხვედელიძე.

ამ ტრადიციადქცეულ ღონისძიებას მაყურებელი არასოდეს აკლია. გამონაკლისი არც ეს კონცერტი იყო – მსმენელმა მხურვალე ოვაციები გაუმართა მუსიკოს შემსრულებლებს, მადლიერების ნიშნად ყვავილებით აივსო სცენა, მონაწილეებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ფესტივალი საქართველოს კულტურისა სამინისტროს, თბილისის მერიის, იტალიის საელჩოს, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმართება.

გვერდი მოამზადა ნელი ცქიტიშვილმა

სხვადასხვა

გილოცავთ!

„ყველა მეთორმეტე კლასელს გილოცავთ სკოლის დამთავრებას და ცხოვრების ახალ, უმნიშვნელოვანეს, საინტერესო და გამორჩეულ ეტაპზე გადასვლას.

მჯერა, თითოეული თქვენგანი სკოლაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას, საქართველოს კეთილდღეობას მოახმარს.

გისურვებთ, რომ სკოლის შემდგომი ეტაპი ყოფილიყოს ნათელი, საინტერესო გამოწვევებით, მიღწევებითა და წარმატებით სავსე.

ბოლო ზარის აღსანიშნავად, 3 ივნისს გეპატიჟებით ნადიკვრის პარკში, სადაც სპეციალურად თქვენთვის მოწყობილ გარემოში, DJ გიგა პაპასკირი დაგხვდებათ.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ბოლო ზარს ჩვენს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებს და ყველას, ვისთვისაც ეს დღე გამორჩეული და მნიშვნელოვანია.“

ლევან ანდრიაშვილი
თელავის მუნიციპალიტეტის მერი

ვარდისუბნის ბიბლიოთეკის ახალმოსახლეობა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის ბიბლიოთეკა ამიერიდან სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში განაგრძობს მუშაობას.

ვარდისუბნის ბიბლიოთეკამ, რომელიც მკითხველებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით, ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვა, გახსნის ღონისძიებაზე მკითხველებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ვარდისუბნის საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უმასპინძლა.

თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი და მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელ ანა იორდანიშვილთან ერთად, ვარდისუბნის ბიბლიოთეკის გახსნას დაესწრნენ და მის ხელმძღვანელს ლია ჯავახიშვილს და მკითხველებს ახალმოსახლეობა მიულოცეს. „ვცდილობთ, სოფლის მოსახლეობის ინტერესები გავითვალისწინოთ და ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები განვახორციელოთ. ვარდისუბანს გასული წლის სექტემბერში საბავშვო ბაღის ახალი შენობა შეემატა, ვაწესრიგებთ საგზაო ინფრასტრუქტურას; ახლა კი, ჩვენი დახმარებით და თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელის – ანა იორდანიშვილის ძალისხმევით, ბიბლიოთეკა ახალ სივრცეში განთავსდა, სადაც მკითხველებისთვის კომფორტული გარემოა შექმნილი.“- აღნიშნა თელავის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ანდრიაშვილმა და წარმატებული საქმიანობა უსურვა ბიბლიოთეკას.

ვარდისუბნის ბიბლიოთეკა თავის მკითხველებს ახალ სამკითხველო დარბაზთან ერთად განახლებულ წიგნად ფონდს და მშვიდ სამუშაო გარემოს სთავაზობს.

ფერადი წარწერებით აჭრელებული თეთრი პერანგები, უამრავი კეთილი სურვილი და ნაბიჯი ცხოვრების ახალ ეტაპზე...

დღე, როდესაც ემშვიდობები მშობლიურ სკოლას, კლასს, მერხს, მასწავლებელს და გული გწყდება, მაგრამ წინ დიდი მიზნებია.

ძვირფასო მეთორმეტეკლასელებო, გილოცავთ სკოლის დასრულებას, გისურვებთ წარმატებებს და მიზნების ასრულებას!

მარიამ რომანიშვილი
თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი

„არტ-თამაშების“ ფინალი

წინანდალში ინტელექტუალური თამაშების ფინალი გაიმართა. „არტ თამაშებში“ თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ.

საპრიზო ადგილების მფლობელი გუნდები და თამაშის მონაწილეები თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილმა და მერიის წარმომადგენლებმა სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვეს.

„არტ თამაშების“ ფინალს თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მარიამ რომანიშვილი, საჯარო სკოლების დირექტორები და პედაგოგები ესწრებოდნენ.

ფინალურ თამაშამდე, მონაწილე გუნდებმა შესარჩევი თამაშების ეტაპები გაიარეს. „არტ თამაშები“ თელავის მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლის ჩართულობით, წელს მეორედ გაიმართა.

ახალგაზრდული ბანაკი

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მორიგი ახალგაზრდული ბანაკი მოეწყო. ხუთდღიანი სასწავლო კურსის ფარგლებში, თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები ბაკურიანში იმყოფებოდნენ, სადაც სერტიფიცირებულ ტრენერებთან ერთად პიროვნული განვითარებისა და გუნდური მუშაობის პრინციპები შეისწავლეს.

ახალგაზრდული ბანაკი, რომელიც მოზარდებისათვის წამახალისებელ, შემეცნებით, საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს, წელიწადში ორჯერ იმართება.

კალიგრაფიის კონკურსმა გამარჯვებულები გამოავლინა

საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა კალიგრაფიის კონკურსის დაჯილდოვება, რომელიც გამარჯვებულებისთვის დაწესებული ჯილდოს სახით, „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელის ვაუჩერების გადაცემას ითვალისწინებდა. კონკურსში თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

2025 წლის გამარჯვებულები გახდნენ: III-IV კლასის მოსწავლეები – ელენე ყურაშვილი, მარიამ კოჭაური, მარიამ ხოზბერუაშვილი; V-VII კლასის მოსწავლეები – მარიამ ტყემალაძე, ზურა ესიტაშვილი, ხატია ვახტანგიშვილი; VIII-IX კლასების ჯგუფიდან – ანა რევაზიშვილი, ნინო გარსევნიშვილი, დიანა ბასილაშვილი, X-XII კლასებიდან – ნინუცა ლეკიაშვილი, ანი გამილაღდიშვილი. სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა მარიამ გრემელაშვილი, რომელმაც თავისი კალიგრაფია მხატვრულ ტილოზე გადაიტანა და ასე წარმოადგინა კონკურსზე. თითოეულ გამარჯვებულს გადაეცა ვაუჩერები და სამახსოვრო საჩუქრები.

კონკურსი, თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით უკვე ორი წელია, რაც ტარდება.

„ჩვენი საქართველო აქ არის“

სოფელ გულგულაში ბიბლიოთეკისა და ადგილობრივი საჯარო სკოლის ერთობლივი ღონისძიება გაიმართა სახელწოდებით – „ჩვენი საქართველო აქ არის“.

სკოლის მოსწავლეები, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა აქტივობით წასდგნენ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და წარსულზე გვიამბობდა.

„თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების სახელით, მსურს მადლობა გადავუხდო როგორც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს თამარ კოლელიშვილს, ისე საჯარო სკოლას და ღონისძიების ყველა მონაწილეს. მართლაც საინტერესოდ წარმოდგენილი პროგრამა ვიხილეთ“ – აღნიშნა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ანა იორდანიშვილმა.

ბიბლიოთეკა – „მზიანეთში“

სოფელ ბუშეტის ბიბლიოთეკის (გამგე ციალა სუმბაძე) ორგანიზებით, „მზიანეთში“, ადგილობრივი მწერლის, ავთანდილ კურდღელაშვილის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

„ლეგენდა ბუშეტის დაარსების შესახებ“ – წიგნის წარდგენას თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი ანა იორდანიშვილი თანამშრომლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაესწრო.

ბუშეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სოფლის დაარსების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინეს. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა აკადემიკოსმა შალვა ამონაშვილმა.

მკითხველს, ბუშეტის შესახებ ისტორიული წიგნის გაცნობა, თელავის მუნიციპალიტეტის ყველა ბიბლიოთეკაში შეუძლია.

რედაქტორი:
ნელი ცქიტიშვილი
telavisgazetiinfo@gmail.com